სააქციო საზოგადოება
ენერგოკავშირი

Joint stock company
ENERGOKAVSHIRI

№ 26/11 13 02 2026 წ

ს/ს „ენერგოკავშირი"-ს

/ს/კ 200095887, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, მუხიანის დასახლება, I მ/რ; კორპ-13/

ბრძანება

მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ

ს/ს „ენერგოკავშირი"-ს ხელმძღვანელი ორგანო იწვევს საზოგადოების აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე **2026 წლის 10 მარტს, სამშაბათს, დღის 12 საათზე,** მისამართზე საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, მუხიანის დასახლება, I მ/რ; კორპ-5. (ფაქტიური მისამართი)

დღის წესრიგი:

1. სს „ენერგოკავშირი"-ს 2025 წლის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება;
2. გენერალური დირექტორის 2025 წლის ანგარიშის წარმოდგენა და დამტკიცება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს 2025 წლის ანგარიშის წარმოდგენა და დამტკიცება;
4. აუდიტორული კომპანიის არჩევა.
5. სამეთვალყურე საბჭოს შემადგენლობის, წევრების არჩევა.

დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება და მმართველი ორგანოს წევრების წლიური ანგარიშის პროექტის მიღება აქციონერებს შეუძლიათ ს/ს „ენერგოკავშირი"-ს ოფისში, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, მუხიანის დასახლება, I მ/რ; კორპ-5.

კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს ხელმძღვანელ ორგანოს და: ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი; 2) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

აქციონერს, საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენელზე გაცემული მინდობილობა დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსის მიერ.

საქართველო, 0172, თბილისი, მუხიანის 1 მ/რ, კორპუსი N 13
საიდენტიფიკაციო კოდი 200095887; ტელ: (+995 32) 264 28 69

Building N 13, 1 micro/district Mukhiani, Tbilisi, 0172, Georgia
Tel: (+995 32) 2642869; Identification Code 200095887

ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით, საერთო კრებას მონაწილეები შეიძლება ესწრებოდნენ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით და ხმის მიცემაც განახორციელონ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.

აქციონერის ხმის უფლება განისაზღვრება აქციათა რაოდენობის მიხედვით.

საერთო კრების სააღრიცხვო დღე არის 2026 წლის 20 თებერვალი, 18:00 სთ.

კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც აქციონერად ირიცხებიან საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, 2026 წლის 20 თებერვალს 18:00 საათის მდგომარეობით, კანონით დადგენილი წესით. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტართან", მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული და სს „ენერგოკავშირი"-ს ოფისში, მის; ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, მუხიანის დასახლება, I მ/რ, კორპ-5.

აქციონერებმა/აქციონერთა უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა კრებაზე დასასწრებად რეგისტრაცია უნდა გაიარონ 10 მარტს, 11:30 საათიდან 12:00 საათამდე, რისთვისაც თან უნდა იქონიონ სათანადო საიდენტიფიკაციო დოკუმენტი.

სს „ენერგოკავშირი"-ს

გენერალური დირექტორი /ვაჟა მაისურაძე/

JSC ENERGOKAVSHIRI
200095887

სს „ენერგოკავშირის" ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების პროექტი საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე

1. დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების პროექტი:

დამტკიცდეს სს „ენერგოკავშირის" 2025 წლის ფინანსური ანგარიშგება, წარმოდგენილი სახით.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების პროექტი:

დამტკიცდეს სს „ენერგოკავშირი"-ს გენერალური დირექტორის 2025 წლის ანგარიში წარმოდგენილი სახით.

3. დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების პროექტი:

დამტკიცდეს სს „ენერგოკავშირი"-ს სამეთვალყურეო საბჭოს 2025 წლის ანგარიში წარმოდგენილი სახით.

4. დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების პროექტი:

სს „ენერგოკავშირი"-ს 2026 წლის ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად არჩეული იქნას აუდიტორული კომპანია შპს „იუ ეიჩ ვაი" ს/კ406026447

საფუძველი: საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების წლიური ფინანსური ანგარიშგება მზადდება და მისი აუდიტირება ხორციელდება იმ აუდიტორული ფირმის მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი დაინტერესების პირისთვის აუდიტორული

მომსახურების გაწევის უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების პროექტი:

სს „ენერგოკავშირი"-ს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ხელახალი ვადით, 3 წლით არჩეული იქნან სამეთვალყურეო საბჭოს იგივე შემადგენლობა:

კახა ბროკიშვილი 01005005866;
ვახტანგ ლომაია 01030004866;
მერაბ სვანი 01011048194;
თამაზ გოცირიძე 01003002524;
დავით არსენაშვილი 01023005659